



MES 8 21 0000554385



10/06/2021

### სააპელაციო საბჭოს სხდომის ოქმი

ქ. თბილისი

**სხდომის ჩატარების თარიღი** - 27/05/2021;

**სხდომის დაწყების დრო** - 16:05 სთ;

**სხდომის დამთავრების დრო** - 18:29 სთ;

**სხდომის თავმჯდომარე** - ნუგზარ სხირტლაძე;

**საბჭოს მდივანი** - ანა საბახტარიშვილი.

#### სააპელაციო საბჭოს (შემდგომში - საბჭო) სხდომაზე დამსწრე წევრები:

**ნუგზარ სხირტლაძე** - შპს „კავკასიის უნივერსიტეტის“ ვიცე პრეზიდენტი სასწავლო დარგში, ამავე უნივერსიტეტის პროფესორი - საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე, სხდომის თავმჯდომარე;

**ანა საბახტარიშვილი** - ა(ა)იპ ინფრასტრუქტურის მშენებელთა ასოციაციის აღმასრულებელი დირექტორი - საბჭოს მდივანი;

**გივი გაგნიძე** - სსიპ - მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის „ახალი სკოლის მოდელის მხარდამჭერი“ პროგრამის საგანმანათლებლო ლიდერობის ექსპერტი;

**არჩილ სუმბაძე** - ა(ა)იპ - საქართველოს სკოლის ადმინისტრატორთა ასოციაციის გამგეობის წევრი, შპს „ბაქსვუდის საერთაშორისო სკოლა - თბილისის“ აკადემიური დირექტორი;

**კახაბერ ფარცვანია** - შპს „ზუგდიდის პრინც მიურატის სახელობის ქართულ-ფრანგული კოლეჯის“ მასწავლებელი;

**თამარ თორია** - ა(ა)იპ - საქართველოს ფერმერთა ასოციაციის აღმასრულებელი დირექტორი.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებისა და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ“ 33-ე მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე სააპელაციო საბჭოს სხდომის ჩატარება მოხდა დისტანციურად, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების, პროგრამა - Zoom-ის გამოყენებით.

საბჭოს სხდომაში მონაწილე ყველა პირმა თანხმობა განაცხადა, რომ დისტანციური ფორმით მიეღოთ მონაწილეობა საბჭოს მუშაობის პროცესში.

#### სხდომაზე დამსწრე პირები:

**სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი:**

**ქეთევან ინანაშვილი** - უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინატორი;

**ლალი ოდიშვილი** - უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინატორი;

**სოფიო ქურასბედიანი** - უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი;

**შოთა კეყერაშვილი** - უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი;

**ნინო გულიაშვილი** - უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის სპეციალისტი;

**უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენლები:**

**შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი:**

**საფფეთ ბაირაქთუთან** - რექტორი;

**თეა კბილცეცხლაშვილი** - რექტორის მოადგილე;

**ნინო ჯოჯუა** - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;

**ეკატერინე ბაკარაძე** - სამართლის ფაკულტეტის დეკანი;

**ვახტანგ ზაალიშვილი** - სამართალმცოდნეობის საბაკალავრო პროგრამის ხელმძღვანელი;

**თამარ შუდრა** - იურიდიული სამსახურის უფროსი;

**ალექსანდრე გიორგიძე** - ასოცირებული პროფესორი;

**დავით გეფერიძე** - ასოცირებული პროფესორი;

**შავლეგ თოდუა** - ასოცირებული პროფესორი;

**მადონა ღიბრაძე** - მოწვეული ლექტორი;

**ვახტანგ ჟვანია** - მოწვეული ლექტორი;

**თამარ ხუბულური** - მოწვეული ლექტორი;

**კახი კოპალიანი** - მოწვეული ლექტორი;

**ეკა კაველიძე** - მოწვეული ლექტორი.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებისა და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 28<sup>5</sup> მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, სხდომას უხელმძღვანელა სააპელაციო საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ, ნუგზარ სხირტლაძემ.

სხდომის თავმჯდომარემ შეამოწმა სხდომაზე დამსწრე საბჭოს წევრთა რაოდენობა და დაადგინა, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებისა და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 28<sup>5</sup> მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სხდომა უფლებამოსილია, რადგან მას ესწრება საბჭოს წევრების სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი.

სხდომის თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებისა და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 28<sup>7</sup> მუხლის მე-3 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის მიხედვითაც, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი, თავი შეიკავოს ხმის მიცემისგან.

**სხდომის თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო სხდომის დღის წესრიგის პროექტი:**

1. შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის „სამართალმცოდნეობის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი სააპელაციო საჩივრის განხილვა.

შუამდგომლობა დღის წესრიგის ცვლილებასთან დაკავშირებით:

✓ არა

### სხდომის დამტკიცებული დღის წესრიგი:

1. შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის „სამართალმცოდნეობის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი სააპელაციო საჩივრის განხილვა.

**1. პირველი საკითხი** - შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის „სამართალმცოდნეობის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი სააპელაციო საჩივრის განხილვა

| №  | ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ  |   |
|----|---|---|
| 1. | საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება  | სამართალმცოდნეობა                           |
| 2. | უმაღლესი განათლების საფეხური  | ბაკალავრიატი                                |
| 3. | კვალიფიკაციის დონე  | მეექვსე                                     |
| 4. | კვალიფიკაციის დასახელება  | სამართლის ბაკალავრი (Bachelor of Law), 0421 |
| 5. | სწავლების ენა   | ქართული                                     |
| 6. | ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა  | 240   |
| 7. | საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღი | 30/01/2021                                  |

### საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

✓ არა

ცენტრის თანამშრომელმა ზუმის (Zoom Meeting) საშუალებით უზრუნველყო საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენლების ჩართვა.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ სააპელაციო საჩივარსა და დაკავშირებულ დოკუმენტაციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.

### ზეპირი მოსმენა

სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა დაწესებულებას წარმოედგინა მისი პოზიცია.

დაწესებულების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა, ნინო ჯოჯუამ განაცხადა, რომ დაწესებულების პოზიციის შესახებ ისაუბრებდა პროგრამის ხელმძღვანელი, ვახტანგ ზაალიშვილი და შემდეგ სხვა პერსონალიც ჩაერთვებოდა განხილვაში. ისინი ისაუბრებდნენ იმ სასწავლო კურსებთან მიმართებით, რომლებსაც უძღვებიან.

„სამართალმცოდნეობის“ საბაკალავრო პროგრამის ხელმძღვანელმა, ვახტანგ ზაალიშვილმა განაცხადა, რომ ძირითადად ისაუბრებდა აკრედიტაციის საბჭოს მიერ აკრედიტაციის მე-2 სტანდარტის შეფასების დაწესებულებით, მიმართა სააპელაციო საბჭოს თხოვნით, მიეცათ მისთვის უფლება გაეზიარებინა პრეზენტაცია.

სხდომის თავმჯდომარემ თანხმობა განაცხადა პრეზენტაციის გაზიარებაზე.

ვახტანგ ზაალიშვილმა განმარტა, რომ პრეზენტაციის ფარგლებში წარმოადგენდა, თუ რასთან დაკავშირებით აქვს დაწესებულებას პრობლემა. აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილების მიხედვით, საბოლოო ჯამში პროგრამას მიენიჭა ორ წლიანი პირობითი აკრედიტაცია, რაც მოხდა მე-2 სტანდარტის შეფასების დაწვევის ხარჯზე, მას სურდა წარედგინა ლოგიკა დაწესებულების თვალთახედვიდან, თუ როგორ მოხდა აკრედიტაციის საბჭოზე აღნიშნული შედეგის მიღწევა და ასევე, სურდა ეჩვენებინა აცდენა საკანონმდებლო მოთხოვნებთან და იმ ნორმებთან, რომლებიც პირდაპირ და უშუალოდ უნდა ყოფილიყო გამოყენებული შეფასების დროს. მისი თქმით, მსჯელობა გარკვეულწილად ექნებოდა შინაარსობრივი ხასიათის, მაგრამ ტექნიკურ ასპექტებზე ყურადღების გამახვილებაც კი საკმარისი იქნებოდა, რათა სააპელაციო საბჭოს დაებრუნებინა პროგრამა აკრედიტაციის საბჭოსათვის ხელახალ განხილვაზე. აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილების შესაბამისად, მე-2 სტანდარტის შეფასება (სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა), რომელიც ექსპერტებმა შეაფასეს, როგორც „შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“, აკრედიტაციის საბჭომ ჩამოაქვეითა, როგორც „ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“, რაც განახორციელა აკრედიტაციის საბჭომ შემდეგნაირად: - ოთხ დონიანი შეფასების სკალის მიხედვით, იმისათვის, რომ პროგრამა კონკრეტულ სტანდარტთან შეფასდეს როგორც „ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“, აკრედიტაციის დებულების 27-ე მუხლის მე-4 პუნქტის მიხედვით, საჭიროა სტანდარტის შემადგენელი სულ ცოტა 2 კომპონენტი იყოს შეფასებული, როგორც „ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“. როგორც მოგეხსენებათ, მე-2 სტანდარტი მოიცავს 6 კომპონენტს, აკრედიტაციის საბჭოს ზოგი შენიშვნა შინაარსობრივად ეხებოდა 2.2 კომპონენტს (საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი). ასევე აღსანიშნავია, რომ 2.3 კომპონენტის (სასწავლო კურსი) ფარგლებში სასწავლო კურსებთან დაკავშირებით რეკომენდაციები იქნა გამოთქმული, კერძოდ, - 9 სავალდებულო და 8 არჩევით კურსთან მიმართებით; ასევე აკრედიტაციის საბჭოს მიერ რეკომენდაციები გაიცა 2.5 კომპონენტთან (სწავლა-სწავლების მეთოდები) დაკავშირებით. არც აკრედიტაციის საბჭოს და არც ექპერტთა ჯგუფს არ ჰქონდა შენიშვნა სხვა სტანდარტებთან დაკავშირებით. ამჟამად დაწესებულების წარმომადგენლები ყურადღებას მხოლოდ აღნიშნულ კომპონენტებზე გაამახვილებდნენ, ასევე შეეცდებოდნენ სააპელაციო საბჭოსთვის ეჩვენებინათ, რომ აკრედიტაციის საბჭოს მსჯელობა იყო არასწორი.

2.2 კომპონენტის ფარგლებში (საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი) ყურადღება გამახვილებული იყო მხოლოდ ერთ სილაბუსზე, აკრედიტაციის საბჭოს ოქმის ჩანაწერის მიხედვით, რიგით მე-7 რეკომენდაციაში მითითებულია: - „საქმიანი წერა შინაარსობრივად უნდა გამდიდრდეს რამდენიმე სამართლებრივი თემატიკით და დაერქვას სამართლის სწავლის სფეროსთვის შესაბამისი სახელი, წინააღმდეგ შემთხვევაში გადატანილ იქნეს სწავლის ძირითადი სფეროს მიღმა არჩევით საგნებში, ან თავისუფალ კრედიტებში.“ პროგრამის ხელმძღვანელმა განაცხადა, რომ მისთვის გაუგებარია რა უნდა დაერქვას სასწავლო კურსს. მან გახსნა აღნიშნული სილაბუსი, რომელიც იკითხებდა ინგლისურ ენაზე და სავალდებულო კომპონენტის ნაწილია, რაც პროგრამის თავისებურებაა, და არა დარგობრივი სტანდარტის მოთხოვნა. მთელი სილაბუსი აგებულია სამართლებრივ თემატიკაზე, მაგ., სამართლებრივი დოკუმენტაცია, სამართლებრივი კორესპონდენცია, წერილი მესამე პირებს, იურისტს და ა.შ., სამართლებრივ პერიფრაზზე მუშაობა, კონტრაქტები, კონტრაქტის ფორმირება, სტრუქტურა, ინტერპრეტაცია, ძირითადი ტერმინოლოგია, არსებითი პირობების შემუშავება ზოგადად სახელშეკრულებო სამართალში; გარდა პირველი სამი კვირისა, მთელი სილაბუსი არის სამართლებრივ შინაარსზე აგებული და მასში არ არის საუბარი, მხოლოდ ჩვეულებრივი წერის კულტურასა და სტანდარტებზე, აგებულია სამართლებრივ თემატიკაზე; ანუ მე-2 სტანდარტის 2.2 კომპონენტის ფარგლებში, საუბარი იყო პროგრამაში ერთი

სავალდებულო საგნისათვის არჩევითი სტატუსის განსაზღვრაზე, რაც აკრედიტაციის საბჭოს მოსაზრებით იყო არსებითი ხარვეზი, თან ისეთი მოტივებით, რომლებიც დაწესებულებას უბიძგებს იფიქრონ, რომ აკრედიტაციის საბჭო სილაბუს სიღრმისეულად არ გაცნობია.

მან განმარტა, რომ შეგნებულად გამოტოვებდა 2.3 კომპონენტს (სასწავლო კურსი), რადგან შინაარსთან დაკავშირებით შესაძლებელი იყო სპეკულირება, სავალდებულო კომპონენტიდან რეკომენდაციები მიემართებოდა 9 სილაბუსს, არჩევითიდან კი 8-ს; ამ საკითხს შემდგომში განიხილავდა.

პროგრამის ხელმძღვანელმა 2.5 კომპონენტის (სწავლა-სწავლების მეთოდები) შესახებ განაცხადა, რომ საუბარი იყო აკრედიტაციის საბჭოს ოქმის მიხედვით მე-15 რეკომენდაციაში მითითებულ „სააღსრულებო სამართლის“ სილაბუსზე, რომლის ხელმძღვანელიც ესწრებოდა სხდომას და მოგვიანებით გამოთქვამდა მოსაზრებას. ვახტანგ ზაალიშვილის განმარტებით, აკრედიტაციის საბჭოს წევრებს არ მოეწონათ სილაბუსში აღწერილი სწავლა-სწავლების მეთოდები, თუმცა დაწესებულებისთვის გაუგებარია, თუ რას ეფუძნებოდა მათი მოსაზრებები. მან გააზიარა აღნიშნული სასწავლო კურსის სილაბუსი, სადაც მითითებულ გრაფაში, დეტალურად იყო ჩამოთვლილი შესაბამისი სწავლა-სწავლების მეთოდები სწავლის მიმდინარეობის პერიოდში, ესენია - სამუშაო ჯგუფებში მუშაობა, პრაქტიკული სამუშაოები, სემინარები, დამოუკიდებელი მუშაობა და ა.შ. ასევე მოცემულია დამატებითი მეთოდები, რომლებიც შესაძლებელია გამოიყენონ. გარდა ამისა, შეფასების ნაწილში ჩაშლილია მეთოდები და აქტივობები, რომლის მიხედვითაც ფასდება სტუდენტი კურსის განმავლობაში. მაგალითისათვის, შუალედური შეფასებები, რომლებიც მოიცავს, მაგ., დახურულ და ღია ტესტების, კაზუსების ამოხსნას, ჯგუფში მუშაობას, ზეპირ/ინდივიდუალურ გამოკითხვას, დებატებს და ა.შ. შუალედური გამოცდა და პრეზენტაცია დეტალებშია ჩაშლილი, თუ როგორ ხდება შეფასება, რომელიც ინდიკატორია იმისა, თუ რა მეთოდები გამოიყენება არა მარტო შეფასების, არამედ სწავლების დროსაც. ასევე გაკეთებული იყო მითითება, რომ შენიშვნა ეხებოდა არა მხოლოდ აღნიშნულ, არამედ სხვა სილაბუსებსაც.

პროგრამის ხელმძღვანელმა აღნიშნა, რომ მას სურდა დაერწმუნებინა სააპელაციო საბჭო, ამისათვის შესთავაზა, რომ გადაგზავნილი პაკეტიდან შემთხვევითი შერჩევის წესით გაეხსნათ ნებისმიერი სილაბუსი, ჩაეხედათ შესაბამისი გრაფებისთვის და დეტექციის მეთოდით ნახავდნენ, იყო თუ არა სილაბუსში გაწერილი სწავლა-სწავლების შედეგები რელევანტურად და შეფასების მეთოდოლოგია. აკრედიტაციის დებულების მიხედვით, სტანდარტის ნაწილობრივ შესაბამისობა მიიღწევა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუკი სტანდარტის ერთზე მეტი კომპონენტი არის „ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“. რეალურად, აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციებიდან გამომდინარე, 2.2 კომპონენტსა და 2.5 კომპონენტებში ვერ იქნება „ნაწილობრივი შესაბამისობა“. გამოდის, რომ ამავე სტანდარტის მიხედვით, პროგრამის სტრუქტურის კომპონენტთან დაკავშირებით არის მოსაზრებები და შეფასება - „ნაწილობრივ შესაბამისია მოთხოვნებთან“. აკრედიტაციის საბჭოს მიერ, სრული შესაბამისობიდან მეორე სტანდარტის ჩამოქვეითება ნაწილობრივი სახით, - არის დაუსაბუთებელი.

მე-4 სტანდარტთან დაკავშირებით, პროგრამის ხელმძღვანელმა განაცხადა, რომ აღნიშნულ სტანდარტი ექსპერტთა მხრიდან შეფასებული იყო, როგორც „შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“, აკრედიტაციის საბჭომ კი შეფასება ჩამოწია და ეს უკანასკნელი შეფასდა, როგორც „მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“. მათი მოსაზრებით, აკრედიტაციის საბჭო გადაწყვეტილების მიღების და საკითხის განხილვის მომენტში უნდა მსჯელობდეს სტანდარტებისა და კომპონენტების შეფასებაზე. პრობლემურად ჩაითვალა აკრედიტაციის საბჭოს მე-16 რეკომენდაცია, რომელშიც გაწერილია: - „მიზანშეწონილია, გადაიხედოს აკადემიური პერსონალის რაოდენობა და მოხდეს ამ რაოდენობის გაზრდა“. აღნიშნულ პროგრამაზე არის 114 მოქმედი სტუდენტი, რომელთაც ემსახურებოდა 39 აკადემიური პერსონალი იმ მომენტისთვის, როდესაც აკრედიტაციის საბჭო განიხილავდა საკითხს. ახლა კი გაზრდილია პერსონალის რაოდენობა და 42 აკადემიური პერსონალი ემსახურება პროგრამას, მათ შორის

აკადემიური/აფილირებული და მოწვეული პერსონალი. თანაფარდობა სტუდენტებსა და პერსონალს შორის არის 1:3. ანუ ერთი აკადემიური პერსონალი ემსახურება 3 სტუდენტს. დაწესებულების მიერ წარდგენილ საჩივარში ასევე წარმოდგენილია ვებმისამართის ბმული ევროპულ სხვადასხვა ქვეყანაში გამოცდილების შესაბამისად რაოდენობრივი მაჩვენებლების შესახებ, სტუდენტებისა და აკადემიური პერსონალის თანაფარდობების მიხედვით. ერთადერთი ქვეყანა, რომელიც აღნიშნულ მაჩვენებელს უსწრებს, არის ლუქსემბურგი. სხვაგან ყველგან არის 1:10 - 1:25 შუალედში და დაწესებულების წარმომადგენლებისთვის გაუგებარია, თუ როგორ დაასკვნა აკრედიტაციის საბჭომ, რომ აკადემიური პერსონალი არ არის საკმარისი 114 სტუდენტის მომსახურებისათვის. გარდა ამისა, განხორციელებულ იქნა შერჩევითი მიდგომა, რაზეც სააპელაციო საჩივარში ვებმისამართის ბმულია მოცემული ცენტრის საიტის ერთ-ერთი პროგრამიდან, რომელზეც სრული აკრედიტაცია იქნა მინიჭებული აკრედიტაციის საბჭოს მიერ უფრო დაბალი მაჩვენებლების არსებობის პირობებში. შესაბამისად, დაწესებულების წარმომადგენელთა მოსაზრებით, აკრედიტაციის მე-4 სტანდარტის დაწვევისათვის არანაირი საფუძველი არ არსებობდა. მითითებულია, ასევე ადმინისტრაციული პერსონალის სტუდენტებთან თანაფარდობა, რომელიც 3:5 თანაფარდობის ფარგლებშია. ამდენად, ადმინისტრაციული პერსონალიც ადმინისტრირების თვალსაზრისით ნამდვილად საგანმანათლებლო პროცესის განხორციელებისათვის ნამდვილად საკმარისია და შესაძლებელია შედარდეს საქართველოში მოქმედ ნებისმიერ აკრედიტებულ საგანმანათლებლო პროგრამასთან.

მე-2 სტანდარტთან მიმართებით პროგრამის ხელმძღვანელმა განმარტა, რომ ამ სტანდარტის შეფასება არის ძალიან მნიშვნელოვანი საკითხი მათი დაწესებულებისათვის. მისი მოსაზრებით, შეფასების ასეთი მიდგომები არის სრული უსამართლობა პროცედურული თვალსაზრისით. ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მოთხოვნების მიხედვით, ნებისმიერ პირს, რომლის ინტერესებსაც ეხება ადმინისტრაციული ორგანოს გადაწყვეტილება, უფლება აქვს, რომ პროცესში მიიღოს თანასწორი მონაწილეობა, მოსმენილ იქნას საკითხი მისი მონაწილეობით სრულყოფილად და შემდეგ შეფასების/განსჯის საფუძველზე იქნას გადაწყვეტილება გამოტანილი. საუბარია სამართლიანი პროცესის ძირითად პრინციპებზე. მან განაცხადა, რომ სურდა წარედგინა მარტივი ქრონოლოგია, რაც სააპელაციო საბჭოსთვის ნათელს გახდიდა, თუ რატომ ვერ გასცეს პასუხი შენიშვნებს, რომლებიც ერთი შეხედვით ძალიან ბევრია. საუბარია 8-9 სილაბუსის შეფასებაზე. ექსპერტებს შესაფასებლად პროგრამა გადაეცათ წინასწარ, მათ ჩაატარეს ერთ დღიანი ვიზიტი და ჰქონდათ ინტერვიუ უამრავ პირთან. მანამდე შეისწავლეს დოკუმენტაცია, ვიზიტის დამთავრების შემდეგ კვლავ მიეცათ გააზრების საშუალება, ჰქონდათ საკმარისი დრო დასკვნის დასაწერად და დაწერეს, რომ მათი პროგრამა ყველა სტანდარტთან იყო სრულად შესაბამისი. ამის შემდეგ დაწესებულება გადის აკრედიტაციის საბჭოს სხდომაზე იმ მოლოდინით, რომ სხდომა იქნება ფორმალისებური, რადგან, დაწესებულების წარმომადგენლებს ძალიან დეტალიზებული მსჯელობა ჰქონდა ყველა საკითხზე, რომელიც აკრედიტაციის საბჭომ მიიჩნია პრობლემურად. აქედან გამომდინარე უნივერსიტეტის ჰქონდა მზაობა იმაზე, რომ პასუხი ყოფილიყო გაცემული პოტენციურ კითხვებზე. აკრედიტაციის საბჭოს ესწრებოდა უნივერსიტეტის 2-3 პერსონალი, რომელიც კონკრეტულ კურსებს ხელმძღვანელობდა. მისალმების და პოზიციების წარმოდგენის შემდეგ, დაისვა უამრავი კითხვა და გაკეთდა კომენტარი. ეს იყო 25-მდე შენიშვნა სხვადასხვა საკითხთან დაკავშირებით და იქვე აღინიშნა მათი მხრიდან, რომ დაწესებულება არცერთ შენიშვნას არ იზიარებდა და ეს არ იყო ის ფორმატი, რომელშიც შეიძლებოდა შესაფასებელი საკითხების ობიექტურად განხილვა, მარტივი მიზეზის გამო. აკრედიტაციის საბჭოს სხდომაზე საკითხს ძირითადად განიხილავდა ორი სამართლის დარგი კვალიფიკაციის საბჭოს წევრი. საბჭოს თავმჯდომარე და მისი მოადგილე, საბჭოს დანარჩენი წევრები იყვნენ სხვა დარგის წარმომადგენლები. შესაბამისად, ორმა საკმაოდ ავტორიტეტულმა და კვალიფიციურმა ადამიანმა გააკეთა 25-მდე შენიშვნა პროგრამაზე, რომელზეც ექსპერტებმა აღნიშნეს, რომ მათი მოსაზრებით, პროგრამა

სრულ შესაბამისობაში იყო მოთხოვნებთან. ამის შემდეგ, დაწესებულებას ჰქონდა მცდელობა, აკრედიტაციის საბჭოს სხდომის მიმდინარეობის აუდიო ჩანაწერი გამოეთხოვათ ცენტრიდან, რომელსაც მტკიცებულებად წარადგენდნენ. აკრედიტაციის საბჭოს მიმდინარეობის დროს, ცალკეულ პერსონალს ფორსმაჟორულ პირობებში ურეკავდნენ საბჭოზე ჩართვისათვის. ზოგმა მოახერხა შემოსვლა, ზოგმა ვერ მოახერხა, მაგ., ასოცირებული პროფესორი, შავლეგ თოდუა ცდილობდა სხდომაზე ჩართვას, ელექტრონული სისტემის ხარვეზის გამო ვერ მოახერხა. ნორმალური პასუხის შესაძლებლობა არ იყო, ვინც ესწრებოდა სხდომას, იმათაც ორიოდე სიტყვა აღნიშნეს მოულოდნელობის ეფექტით, რაც კამათში გადაიზარდა. ისინი ეკამათებოდნენ აკრედიტაციის საბჭოს თავმჯდომარესა და მის მოადგილეს. შესაბამისად, ვერ გამოიკვეთა საპასუხო არგუმენტები იმ პერსონალის მიერ, ვინც შეძლო და დაესწრო სხდომას. საბოლოო ჯამში ასეთი სურათი შეიქმნა, რომ აკრედიტაციის საბჭოს ავტორიტეტულმა წევრებმა წარადგინეს თავისი მოსაზრებები და დაწესებულებას მოსაზრების წარმოდგენის საშუალება ფაქტობრივად არ მიეცა. ასეთი მდგომარეობა რომ არ შექმნილიყო, მიღებული იქნებოდა სხვანაირი გადაწყვეტილება. სულ მცირე იქნებოდა რეაგირება სილაბუსთან დაკავშირებით, რომელიც ეხებოდა სამართლებრივი საკითხების განხილვას. პროგრამის ხელმძღვანელმა სააპელაციო საბჭოს წინაშე წარადგინა სილაბუსი, რომლის 15 შეხვედრიდან 12 იყო სამართლებრივ საკითხებზე, კიდევ ერთხელ აღნიშნა, რომ დაწესებულების წარმომადგენლებმა ადეკვატური რეაგირება ვერ მოახერხეს.

შეფასებითი კატეგორიის საკითხებთან დაკავშირებით პროგრამის ხელმძღვანელმა განაცხადა, რომ აკრედიტაციის საბჭოს ოქმში მოცემულია ბევრი რეკომენდაცია, რაც მისი მოსაზრებით არის არაობიექტური. მაგ., ოქმში წერია, „სამართლის შემეცნების წყარო კანონი არ არის...“, დაახლოებით ისეთი მსჯელობაა, რომ ითქვას - „პოეზიის შემეცნების წყარო ლექსი არ არის“. მან განმარტა, რომ შენიშვნები, ეხებოდა 9 სილაბუსს სავალდებულო კომპონენტიდან და 8 სილაბუსს არჩევითი კომპონენტიდან. მაგ., საკორპორაციო სამართალთან დაკავშირებით იყო შენიშვნა, რომ თემატიკა, რომელიც ზოგიერთ კვირაშია მითითებული, არ ახლავს ლიტერატურა, მაშინ როცა, სავალდებულო/არჩევით ლიტერატურაშია მითითებული ყველა ის წყარო, რომელიც რელევანტურია კონკრეტული თემისთვის და მოცემული შენიშვნა ტექნიკურია. რადგან თუკი შემთხვევით რაღაც თემასთან დაკავშირებით არ არის მითითებული ლიტერატურა, ცხადია, თუკი სტუდენტს გაუჩნდება კითხვა სად წაიკითხოს მასალა, ლექტორი მიუთითებს შესაბამის წყაროს. ასეც რომ არ იყოს, ძალიან მარტივი საკითხია კონკრეტულ თემაზე ლიტერატურის მითითება. ასევე აღსანიშნავია, რომ აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაციები უხეშად იჭრება პერსონალის აკადემიური თავისუფლების ნაწილში. მაგ., საკონსტიტუციო სამართლის სპეციალისტი აკეთებს კომენტარს იმასთან დაკავშირებით, რომ სამართლებრივი ფსიქოლოგიის სილაბუსი სხვანაირად უნდა იყოს აწყობილი და ზოგადი ფსიქოლოგიის საფუძვლები მასში არ უნდა იყოს ჩართული, ან სისხლის სამართალში ფსიქოლოგიის თემები არ უნდა იყოს აღნიშნული სილაბუსის ფარგლებში და მასში სხვა კატეგორიის ფსიქოლოგიური მიმართებები უნდა იყოს წარმოდგენილი. პროგრამის ხელმძღვანელმა განაცხადა, რომ შესაძლებელია ადამიანი ბევრ რამეში ერკვეოდეს და შეიძლება მართალიც იყოს, მაგრამ კონკრეტულ საგანში თემატიკის მითითება შეიძლება იყოს ლექტორის აკადემიურ საქმიანობაში ჩარევა.

პროგრამის ხელმძღვანელმა ასევე ისაუბრა საბჭოს მიერ გაცემულ ურთიერთსაწინააღმდეგო რეკომენდაციებზე. აღნიშნა ადმინისტრაციულ სამართალის და კერძო სამართლის რეპეტიტორიუმებთან დაკავშირებით. მათგან ერთი პროგრამის ხელმძღვანელისა საგანია, მეორე კი ყოფილი მოსამართლის. ადმინისტრაციული სამართლის რეპეტიტორიუმზე გაკეთდა შენიშვნა, რომ ადმინისტრაციული სამართლის განსაკუთრებულ ნაწილზე არ უნდა ყოფილიყო ორიენტირებული. აღნიშნულის საპირისპიროდ, კერძო სამართლის რეპეტიტორიუმზე გაკეთდა შენიშვნა, რომ შემოსაზღვრული იყო ზოგადი ნაწილით და განსაკუთრებულ ნაწილთან უნდა ყოფილიყო ბმა. სააპელაციო საბჭოს შეეძლო გაცნობდა დაწესებულების წარმომადგენლების არგუმენტირებული პოზიციას. მან განმარტა, რომ საკითხი საჭიროებდა

დეტალებში ჩაღრმავებას, რისთვისაც ერთი მხრივ არსებობდა აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებაზე თანდართული დოკუმენტი ოქმის სახით, სადაც საბჭოს მოსაზრებები წერილობით იქნა დაფიქსირებული. მეორეს მხრივ, პროგრამის ხელმძღვანელს, ასევე აკადემიური წრის წარმომადგენლებს, რომლებიც საგანმანათლებლო პროგრამის ცალკეულ კომპონენტებს ახორციელებენ, ზურგს უმაგრებს აკრედიტაციის 4 ექსპერტის დასკვნა საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან სრულ შესაბამისობაზე. თუკი გადაწყვეტილების მიღებისათვის ეს დოკუმენტაცია საკმარისი არ არის, დაწესებულების წარმომადგენლები თანხმობას აცხადებენ, თითოეულ პრობლემურ კომპონენტთან დაკავშირებით, დაინიშნოს დამატებითი ექსპერტიზა/შეფასება და შეფასებაში ჩაერთოს გარე მოწვეული პირი, რომელიც არ არის დაინტერესებული საკითხით და ობიექტურ მოსაზრებებს წარმოადგენს. მან დასძინა, რომ თუკი სააპელაციო საბჭოს მიმდინარეობის ფორმატი იძლეოდა ამის შესაძლებლობას, ყველა დამსწრე პერსონალს შეეძლო დაეფიქსირებინა თავისი მოსაზრება. სხდომის თავმჯდომარემ მადლობა გადაუხადა დაწესებულების წარმომადგენელს საუბრის წარმართვისათვის.

## დისკუსია:

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა სააპელაციო საბჭოს წევრებს დაესვათ კითხვები დაწესებულების წარმომადგენლებისათვის. შემდეგ თვითონვე დაინტერესდა რეპეტიტორიუმის საკითხთან დაკავშირებით, რომელზე აკრედიტაციის საბჭოს გაცემული ჰქონდა რეკომენდაცია.

„სამართალმცოდნეობის“ საბაკალავრო პროგრამის ხელმძღვანელმა, ვახტანგ ზაალიშვილმა განაცხადა, რომ დეტალური არგუმენტაცია წერილობითაც აქვს დაწესებულებას წარდგენილი სააპელაციო საბჭოს წინაშე, თუმცა სხდომაზეც დამატებით შეეძლო საუბარი. მან განმარტა, რომ აკრედიტაციის საბჭოს თავმჯდომარის მოსაზრება შესაძლებელია ნაწილობრივ იქნას გაზიარებული. კერძოდ საუბარი იყო გერმანულ მოდელზე (ქართული რეალობისთვის ნაკლებად რელევანტური იყო), სადაც რეპეტიტორიუმები პროგრამაში მოცემული არის საკმაოდ მაღალი კრედიტებით და მოიცავს კერძო სამართლის, ან საჯარო სამართლის მიმართულებით თითქმის ყველა ქვემიმართულების ელემენტებს. გერმანული მოდელის მიზანია, მოამზადოს სტუდენტი პროფესიული გამოცდისთვის. ამ მოდელის მიხედვით, გერმანიაში არის ერთი გამოცდა. საქართველოში კი შემდეგი პროფესიული გამოცდებია საჭირო პროფესიაში შესასვლელად: ადვოკატის, პროკურორის, მოსამართლეობის და ნოტარიუსების გამოცდა. ქართული მოდელის მიხედვით, ბაკალავრს შეუძლია პროფესიაში შესვლა, მიუხედავად იმისა, რომ ის ვერ გახდება პროკურორი და მოსამართლე, მაგრამ სათანადო გამოცდის ჩაბარების შემდეგ შეუძლია გახდეს ადვოკატი. შესაბამისად, მიზნები, რომელიც რეპეტიტორიუმს შეიძლება ჰქონდეს გერმანიაში, საქართველოს რეალობიდან გამომდინარე ერთიდაიგივე უბრალოდ ვერ იქნება. დამატებით აღსანიშნავია, რომ კურსები, რომლებიც კერძო სამართალში ისწავლება სავალდებულო სახით, ძირითადად წარმოდგენილია I-II კურსზე, ანუ 4 სემესტრის განმავლობაში; ხოლო რეპეტიტორიუმი მე-8 სემესტრში დამამთავრებელი კურსის სტუდენტისთვის ერთის მხრივ მიზნად ისახავს, რომ სტუდენტებმა გაიმეორონ ადრე ნასწავლი და დასრულებისთანავე მიეცეთ საშუალება, ადვოკატობის გამოცდა ჩააბარონ, რომელში შესვლაც ნებადართულია კანონმდებლობით. მეორე მიზანი, რომელიც აღნიშნული პროგრამის რეპეტიტორიუმს აქვს, არის ცოდნის გაღრმავება, რაზეც მეტყველებს სილაბუსში მითითებული ლიტერატურა და საბჭოს შეეძლო მარტივად შეემჩნია, რომ არ კონცენტრირდებოდა მხოლოდ ქართულ სამართალზე და შემოდის შედარებითი-სამართლებრივი მეთოდოლოგია; მაგ., ძირითადი კონცეფციები დარდება გერმანულ მოდელთან, რომლიდანაც საქართველოს აღებული აქვს კერძო სამართლის სტრუქტურა, ამას თან ერთვის ის ფაქტი, რომ კურსი მიყავს ორ სპეციალისტს. როგორც აღვნიშნეთ, ერთი არის პროგრამის ხელმძღვანელი და მეორე, მოქმედი მოსამართლე. ცხადია,



ამ კურსის განმავლობაში კაზუსები შედარებით რთული ხდება და ორიენტირებულია შედარებით-სამართლებრივ მეთოდოლოგიაზე. სილაბუსში კაზუსის მოდელის ჩვენება შეუძლებელია. მან განახადა, რომ შეეძლო გაეზიარებინა ერთ-ერთი კაზუსი, რათა ეჩვენებინა თუ როგორი გადატვირთულია იგი კომპონენტების თვალსაზრისით. რაც მთავარია ყველაფერი აგებულია აქტუალურ პრაქტიკაზე, რადგან ერთ-ერთი განმახორციელებელი მოქმედი მოსამართლეა.

საბჭოს წევრმა თამარ თორიამ განაცხადა, რომ ის არ არის დარგის წარმომადგენელი, თუმცა აქვს წინა სააპელაციო საბჭოში მუშაობის გამოცდილება. პროცედურულ საკითხთან დაკავშირებით დაწესებულების მიერ წარდგენილ საჩივარში საკმაოდ მძიმე ბრალდებაა წაყენებული, რომ „დარღვეული იყო თანასწორობის უფლება, საბჭომ მიმართა დისკრიმინაციულ ზომებს, იყო აშკარა უთანაბრობა პროცესის მსვლელობისას“. სააპელაციო საბჭოს მიმდინარე სხდომაზე პროგრამის ხელმძღვანელმა წარადგინა თავისი მოსაზრებები. იგი დაინტერესდა, თუ რატომ არ ჰქონდათ საშუალება აკრედიტაციის საბჭოს სხდომაზე დაეფიქსირებინათ პოზიცია, რადგან ოქმის ჩანაწერიდან ეს არ იკვეთება, თუ რა იყო დაწესებულებისათვის პოზიციის წარდგენის შემაფერხებელი.

საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელმა განაცხადა, რომ ორი ძირითადი მიზეზი არსებობდა; მოულოდნელობის ეფექტი და პერსონალის მხოლოდ ნაწილის დასწრება ზეპირ მოსმენაზე.

საბჭოს წევრმა, თამარ თორიამ დასძინა, რომ დაწესებულება მისივე საჩივარში აღიარებს იმას, რომ აკრედიტაციის საბჭო უფლებამოსილია არ დაეთანხმოს ექსპერტთა ჯგუფის მოსაზრებას და წარმოადგინოს განსხვავებული პოზიცია, შესაბამისად დაწესებულების წარმომადგენელს ვერ დაეთანხმა მოულოდნელობის ეფექტთან დაკავშირებით. ნებისმიერ პოზიციას შეიძლება დაეთანხმონ, ან არ დაეთანხმონ, შესაძლებელია ჰქონოდათ განსხვავებული პოზიცია. თუმცა, როგორც დაწესებულებამ მიმდინარე სხდომაზე შეძლო საკმაოდ დამაჯერებლად და დასაბუთებულად არგუმენტის წარმოდგენა, მსგავსად არგუმენტირებულად შეეძლო დაესაბუთებინა მისი სიმართლე.

სხდომის თავმჯდომარემ განაცხადა, რომ გასაგები იყო საბჭოს წევრის მოსაზრება და დამატებით აღნიშნა, რომ სააპელაციო საჩივარში ხაზი აქვს გასმული აშკარა უთანაბრობის პროცესს აკრედიტაციის საბჭოს მსვლელობისას, რაც დაუსაბუთებლად იქნა იგნორირებული. ასევე მოცემულია, რომ ოქმის დოკუმენტში ზეპირი მსჯელობის მიმდინარეობის ეს ნაწილი საერთოდ არ არის გაწერილი.

პროგრამის ხელმძღვანელმა განაცხადა, რომ 23 შენიშვნაზე/რეკომენდაციაზე ერთი ადამიანი მოულოდნელობის ეფექტიდან გამომდინარე ვერ წარმოადგენდა/გააზიარებდა საპირისპირო არგუმენტებს. აქვე განმარტა, რომ მიმდინარე ზეპირი მოსმენისგან განხვავებით, აკრედიტაციის საბჭოს სხდომის ფორმატი და მოცემულობა განსხვავებული იყო და დეტალური მსჯელობის საშუალება არ მისცემიათ. შესაბამისად, პროგრამის ხელმძღვანელის სილაბუსის გარდა სხვა სილაბუსებთან დაკავშირებით იყო საუბარი. სილაბუსების ავტორი პერსონალის ნაწილი ფიზიკურად არ იყვნენ სხდომაზე და ვერც ჩართავდნენ. პროგრამის ხელმძღვანელის მოსაზრებით, აკრედიტაციის საბჭოს თავმჯდომარეს უნდა შეეწყვიტა სხდომა, ცხადია მას ჰქონდა რეკომენდაციების წარდგენის უფლებამოსილება, რაც აკრედიტაციის დებულებაში და მოქმედ კანონმდებლობაში გაწერილია. თუმცა, დაწესებულების წარმომადგენლებისთვისაც უნდა მიეცა აზრის გამოთქმის საშუალება. უნდა დაპაუზებულიყო შესაბამისი საკითხი საბჭოზე და დაწესებულების წარმომადგენლებისთვის მიეცათ მცირე დრო, იმ პერსონალის გამოსაძახებლად, რომლის სილაბუსებთან დაკავშირებითაც ჰქონდა საბჭოს შენიშვნები.

საუბარში ჩაერთო საბჭოს წევრი კახაბერ ფარცხვანია, რომლის თქმით პროგრამის ხელმძღვანელის საუბრიდან გამომდინარე, დაწესებულება იყო არათანაბარ პირობებში. იგი დაინტერესდა, თუ რატომ არ მოითხოვა დაწესებულებამ საკითხის გადადება მანამ, სანამ

აკრედიტაციის საბჭო გადაწყვეტილებას მიიღებდა, ანდა თავიდანვე რატომ არ ესწრებოდა პერსონალი ზეპირ მოსმენას. ასევე დაინტერესდა, დარგობრივი პერსონალის რაოდენობით.

პროგრამის ხელმძღვანელმა განაცხადა, რომ პროგრამას ემსახურებოდა 42 აკადემიური პერსონალი (114 სტუდენტზე), შესაბამისად თანაფარდობა არის 1:3. აკრედიტაციის საბჭოს სხდომის გადადების შესახებ განმარტა, რომ არ განაცხადეს/მოითხოვეს, რადგან ერთი მხრივ ეყრდნობოდნენ შესაბამის კანონს, რომელიც საბჭოსგან მოითხოვს, სრულფასოვანი მსჯელობის შედეგად მიიღოს გადაწყვეტილება. დაწესებულების წარმომადგენლები არ ელოდნენ, რომ 10 საბჭოს წევრი გაიზიარებდა საბჭოს 2 წევრის (თავმჯდომარე, მოადგილე) მოსაზრებებს, რომელიც აკრედიტაციის ექსპერტთა მოსაზრებებისგან იყო რადიკალურად განსხვავებული. საბჭოს ჰქონდა თუ არა უფლებამოსილება დაწესებულებისთვის შესაბამისი შესაძლებლობის მიცემის გარეშე ემსჯელა, მიეღო გადაწყვეტილება. ამდენად, ზემოაღნიშნული კითხვის პირველი ნაწილის პასუხიც ცხადია, საუბარი იყო მარტივ სტრატეგიაზე, თუკი საუბრობდნენ პროცედურულ საკითხების გამართულობაზე.

საბჭოს წევრმა კახაბერ ფარცვანიამ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს და დამატებით დააზუსტა, რომ აინტერესებდა პერსონალის განაწილება სამართლის 3 მიმართულების (საჯარო სამართალი, კერძო სამართალი, სისხლის სამართალი) მიხედვით.

პროგრამის ხელმძღვანელმა განაცხადა, რომ დეტალურად ჰქონდათ გაწერილი საგანმანათლებლო პროგრამაში ინფორმაცია და მიმართა სამართლის ფაკულტეტის დეკანს პასუხისათვის.

დაწესებულების სამართლის ფაკულტეტის დეკანმა, ეკატერინე ბაკარაძემ გააზიარა დოკუმენტი, სადაც მოცემული იყო ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის შესახებ. მან აღნიშნა, რომ ამ ეტაპზე პროგრამაში მონაწილეობდა 42 ლექტორი, მათ შორის 19 - აკადემიური პერსონალი, 2 - პროფესორი, 2 - ინფორმაციული ტექნოლოგიების ლექტორი, დანარჩენი იყო სამართლის დარგის მიმართულებიდან. მან დამატებით აღნიშნა, რომ რომ არცერთ პერსონალს არ ჰქონდა საათობრივი გადაჭარბება.

სხდომის თავმჯდომარემ დეკანს სთხოვა განემარტა, თუ რას ნიშნავდა, ეს უკანასკნელი განმარტება, რა ზღვრული დრო ჰქონდა განსაზღვრული პერსონალს დატვირთვისათვის.

სამართლის ფაკულტეტის დეკანმა განმარტა, რომ პროფესორის ყოველკვირეული დატვირთვა იყო 9 საათი, ასოცირებული პროფესორისათვის - 12 საათი, ასისტენტ-პროფესორისთვის კი - 15 საათი.

საბჭოს წევრმა კახაბერ ფარცვანიამ კიდევ ერთხელ დააზუსტა მისი კითხვა, რომელიც ეხებოდა სამართლის 3 მიმართულებით (დამატებით მე-4 მიმართულებით არსებობის შემთხვევაში) დარგობრივი პერსონალის გადანაწილებას.

სამართლის ფაკულტეტის დეკანმა განაცხადა, რომ დაახლოებით 38 დარგობრივი ლექტორი ჰყავდათ.

საბჭოს წევრმა, კახაბერ ფარცვანიამ განაცხადა, რომ გაზიარებულ ფაილში ერთი ლექტორი რამოდენიმე კომპონენტის განმახორციელებლად იყო მითითებული და ამიტომ დაინტერესდა პერსონალის რაოდენობით და მათი სხვადასხვა მიმართულებით განაწილებით.

საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელმა განაცხადა, რომ შესაძლებელია 2-3 საგანს კითხულობდა ერთი ლექტორი, თუმცა პერსონალი არ იყო გადატვირთული.

საბჭოს წევრმა, კახაბერ ფარცვანიამ დასძინა, რომ ერთ-ერთ ლექტორს 6 საგანიც ეწერა.

პროგრამის ხელმძღვანელმა განმარტა, რომ კურიკულუმის მიხედვით ეს საგნები არ იხსნება ერთდროულად, ანუ ერთი სემესტრის განმავლობაში და მონაცვლებითი იყო.

სამართლის ფაკულტეტის დეკანმა დამატებით განაცხადა, რომ ერთი სემესტრის ფარგლებში 4 ძირითადი სასწავლო კურსი შესაძლებელია გახსნილიყო, რომელსაც ასწავლიდა ერთი ლექტორი.

სხდომის თავმჯდომარე დაინტერესდა „საკონსტიტუციო სამართლის“ მიმართულების სილაბუსთან დაკავშირებით აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემულ რეკომენდაციაზე და აღნიშნულთან დაკავშირებით სთხოვა დაწესებულებას განმარტება.

საწავლო კურსის განმახორციელებელმა პერსონალმა ეკა კაველიძემ განაცხადა, რომ სურდა ესაუბრა აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემულ მოსაზრებებზე, რომელიც კონსტიტუციურ სამართალწარმოების საკითხებს უკავშირდებოდა. საგანს ექვია „საკონსტიტუციო სამართალწარმოება“ და შეეხება საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ საპროცესო ფუნქციის განხორციელებას, თუ როგორ იხილება შესაბამისი საკითხები საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ, რა პროცესი არის გაწერილი კანონმდებლობით და ა.შ. შენიშვნა გულისხმობდა, რომ საგანი მოიცავდა საკონსტიტუციო კონტროლის რამდენიმე თემატიკასაც და დარგობრივი სხვაობა იყო კონტროლსა და სამართალწარმოებას შორის, რასაც დაწესებულება არ დაეთანხმა, რადგან საკონსტიტუციო კონტროლი ეს არის საკონსტიტუციო სასამართლოს ძირითადი ფუნქცია, ანუ გააკონტროლოს ხელისუფლების განმახორციელებელი სუბიექტები, პარლამენტი, პრეზიდენტი, მთავრობა. შესაბამისად, თუკი დაწესებულება არ აუხსნის სტუდენტს სამართალწარმოების საკითხებს, საკონსტიტუციო სასამართლო ვერ ასწავლის როგორ გააკეთოს პროცესში, ანუ თუ არ ეტყვიან სტუდენტს, რომ საკონსტიტუციო სასამართლოს ფუნქციაა დეპუტატის მანდატზე მსჯელობა, ვერ აუხსნიან, თუ რა პროცესი მიმდინარეობს დეპუტატის მანდატზე მსჯელობის დროს. ამიტომ, სილაბუსში კონტროლთან დაკავშირებით გაწერილია 2-3 თემატიკა, სადაც ზოგად წარმოდგენას უქმნიან სტუდენტს საკონსტიტუციო სასამართლოს ფუნქციებზე და შემდგომ, საპროცესო ნაწილზე აქტიურადაა გაწერილი ყველა დეტალი, რასაც მოიცავს უშუალოდ პროცესი. გამომდინარე აქედან, თემატიკის ცვლილების შენიშვნას დაწესებულება ვერ გაიზიარებდა, რასაც ასევე უკავშირდებოდა რეკომენდაცია სათაურის ცვლილებაზე, ამ უკანასკნელ შენიშვნასაც ვერ გაიზიარებდნენ. აქვე იყო დეტალი ლიტერატურასთან დაკავშირებით, რომელიც გარდა იმისა, რომ საგნის ხელმძღვანელის აკადემიური თავისუფლების ნაწილია, ასევე მიზანმიმართულად არ იქნა საგანში ასახული. ორ სახელმძღვანელოზე გამოითქვა შენიშვნა, თუ რატომ არ იყო გაწერილი სილაბუსში. აღნიშნული ორი წყარო იყო საკონსტიტუციო სასამართლოს ყოფილი მოსამართლეების მიერ გამოცემული პუბლიკაციები, რომლებიც შეზღუდული ტირაჟით დაიბეჭდა, სტუდენტებისთვის ფართოდ ხელმისაწვდომი არ არის და ეხება მხოლოდ რამდენიმე სპეციფიკურ საკითხს საკონსტიტუციო სასამართლოს ფუნქციებზე. ამიტომ, დაწესებულების წარმომადგენლებს არ ჰქონდათ სილაბუსში გაწერილი, მაგრამ რადგან მიიღეს რეკომენდაცია, დაამატეს რამდენიმე თემასთან მიმართებით. თუმცა მათი დამატება არ კვეთს სტუდენტის მიერ საკითხის სრულად შესწავლას, დამხმარე ხასიათის წყაროებია 3-4 საკითხთან მიმართებაში. მან განაცხადა, რომ სურდა კიდევ ერთ საგანთან დაკავშირებით ესაუბრა, თუ ამის შესაძლებლობას მისცემდა სხდომის თავმჯდომარე.

სხდომის თავმჯდომარემ განაცხადა, რომ სჯობდა ჯერ აღნიშნული საკითხი დაესრულებინათ, იგი დაინტერესდა არის თუ არა ზემოაღნიშნული ორი სახელმძღვანელოს ელექტრონული ვერსია ხელმისაწვდომი.

მოწვეულმა ლექტორმა ეკა კაველიძემ განაცხადა, რომ დაწესებულებაში სტდენტებისათვის ხელმისაწვდომია სახელმძღვანელოების ელექტრონული ვერსია. მისი თქმით, მხოლოდ 4 თემასთან დაკავშირებით გამოიყენეს ეს სახელმძღვანელოები.

სხდომის თავმჯდომარე დაინტერესდა ამ უკანასკნელ განმარტებასთან დაკავშირებით, მისი კითხვა იყო, ეს სახელმძღვანელოები ხელმისაწვდომი სტუდენტებისათვის რა ეტაპზე იყო, ექსპერტთა ჯგუფის/აკრედიტაციის საბჭოს შენიშვნის შემდეგ, თუ მანამდეც შესაძლებელი იყო მათით სარგებლობა.

მოწვეულმა ლექტორმა ეკა კაველიძემ განმარტა, რომ შენიშვნის შემდეგ მიაწოდეს, თუმცა ძირითადი სასწავლო მასალა არ არის ზემოაღნიშნულ 2 სახელმძღვანელოში მითითებული და სწორედ ამიტომ არ ჰქონდათ გაწერილი სილაბუსში, ეხება რამდენიმე სპეციფიკურ ფუნქციას, თან საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლეები თავიანთ გამოცდილებას უფრო სიღრმისეულად ყვებიან კონკრეტულ სფეროზე, დაწესებულება კი თითო საკითხს თითო ლექციას უთმობდა და ამიტომ მხოლოდ 4 თემატიკა გამოადგათ.

სხდომის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ რეკომენდაციაში ნახსენები იყო „ადამიანის ძირითადი უფლებების“ სასწავლო კურსის შინაარსის შესახებ. კერძოდ, მე-12 რეკომენდაციის ნაწილში აღნიშნულია, - „კაზუსის შეფასების მეთოდიკა შესაბამისობაში მოვიდეს ევროსასამართლოსა და საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ დადგენილ სტანდარტთან, თემატიკაში გათვალისწინებული იქნეს მკაცრი და რაციონალური დიფერენციაციის ტესტებისა და მათი პრაქტიკული გამოყენების შესახებ საკითხები.“

მოწვეულმა ლექტორმა, ეკა კაველიძემ განაცხადა, რომ იცნობს აღნიშნულ სილაბუსსაც და შეეძლო დაემატებინა, რომ თითოეული გამოკითხვის მეთოდი სილაბუსში ისეა გაწერილი, რომ ითვალისწინებს კაზუსის ამოხსნას, თუ ლექტორმა არ აუხსნა მეთოდი, ვერც სტუდენტს გამოკითხავს და პრაქტიკაში ასეც ხდება; სტუდენტს უხსნიან, რომ ჯერ უნდა დადგინდეს პრაქტიკა, შემდეგ ჩარევა და ბოლოს გაამართლონ ან არ გაამართლონ უფლებაში ჩარევა, პრაქტიკაში ეს ასე მუშაობს, როგორც უფლებების, ის საკონსტიტუციო სამართლის საგანშიც.

საბჭოს წევრი, კახაბერ ფარცვანია დაინტერესდა, ეთანხმებოდა თუ არა დაწესებულება აკრედიტაციის საბჭოს გამოთქმულ რეკომენდაციებს და ასეთის არსებობის შემთხვევაში, - რა ნაწილში ეთანხმებოდა.

პროგრამის ხელმძღვანელმა განაცხადა, რომ რეკომენდაციის ფარგლებში მოცემულია „ევროკავშირის სამართლის“ სილაბუსთან დაკავშირებით, რომელზეც თავისი მოსაზრებები ჰქონდა საგნის წამყვან ლექტორს.

ასოცირებულმა პროფესორმა დავით გეფერიძემ განაცხადა, რომ კითხულობდა აღნიშნულ სასწავლო კურსს. შედარებისთვის, აღნიშნა, რომ მედიცინის დარგებია კარდიოლოგია და ქირურგია. კარდიოლოგიის სპეციალისტი რჩევას ვერ მისცემს ქირურგს ამა თუ იმ მიმართულებით, თუ რა უნდა იყოს წაკითხული მის სასწავლო კურსში. იგივე მოხდა დაწესებულების შემთხვევაშიც, კონსტიტუციური სამართლის სპეციალისტმა მისცა შენიშვნა საერთაშორისო სამართლის სპეციალისტს.

სხდომის თავმჯდომარემ დასძინა, რომ თუ ქირურგი გულზე აკეთებდა ოპერაციას, მაშინ კარდიოლოგიც უნდა ჩარეულიყო საქმეში.

დავით გეფერიძე დაეთანხმა სხდომის თავმჯდომარეს, რომ სპეციფიკებთან დაკავშირებით დახმარება შესაძლებელია. მან საბჭოს წევრებს აჩვენა გერმანელი სპეციალისტების სახელმძღვანელო, რომელიც 950 გვერდს მოიცავდა, მისი თქმით, საბჭოს ერთ-ერთმა წევრმა მას უთხრა, რომ ამოღებულ იქნას კონკრეტული საგნიდან ორი თემა, რომლების არ არის რელევანტური ევროპის სამართალთან, კონკრეტულად საუბარი იყო ადამიანის უფლებათა ევროპულ ნაწილზე. მაგალითად მოიტანა ზემოაღნიშნული 950 გვერდიანი სახელმძღვანელო, რომელიც GIZ-ის პროექტის ფარგლებში ნათარგმნია ქართულ ენაზე. ეს სახელმძღვანელო დაწერილია 3 გერმანელი სპეციალისტის მიერ და სახელმძღვანელო მასალად იყენებენ ბერლინის უნივერსიტეტში და ევროპულ სხვა წამყვან უნივერსიტეტებში, სადაც ცალკე არის გამოყოფილი ადამიანის ევროპული სამართალი. ეს იყო ზუსტად მისი არგუმენტი და ზემოაღნიშნული შედარების შესაბამისობა, რომელიც გააკეთა საგნებთან მიმართებაში. აკრედიტაციის საბჭოს წევრის მიდგომა იყო არაობიექტური.

სხდომის თავმჯდომარემ განაცხადა, რომ ვინაიდან აკრედიტაციის საბჭოს წევრები არ ესწრებოდნენ სხდომას, მათი ეთიკის მიხედვით, მიზანშეწონილია მათ განსჯაზე არ ესაუბრათ. იგი დაინტერესდა არსებობს თუ არა ასეთივე შინაარსის ქართული სახელმძღვანელო. ასოცირებულმა პროფესორმა, დავით გეფერიძემ განმარტა, რომ არსებობს სრული თარგმანი GIZ-ის პროექტის ფარგლებში და ასევე, არსებობს მისი ელექტრონული ვერსიაც. მასში 2 თავი დათმობილია ზუსტად ადამიანის უფლებებზე და ამის საწინააღდეგოდ, აკრედიტაციის საბჭოს შენიშვნაში წერია, რომ ეს თავი ამოღებულ უნდა იქნეს სასწავლო კურსის სილაბუსიდან.

სხდომის თავმჯდომარემ სიტყვა გადასცა საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელს.

პროგრამის ხელმძღვანელმა დასვა კითხვა, თუ რამდენად მიზანშეწონილია სასწავლო კურსის თემატიკაში, განმახორციელებლის არჩევანში ასეთი ხისტი ჩარევა შინაარსობრივი თვალსაზრისით და ხომ არ ცდება ასეთი ჩარევა აკადემიური თავისუფლების ფარგლებს. პროგრამის ხელმძღვანელმა დასძინა, რომ თავისუფლების საკითხი კონსტიტუციაშიც კი გაწერეს.

სხდომის თავმჯდომარემ განაცხადა, რომ შეთანხმებულნი არიან ადამიანური თავისუფლების ცნებაზე. თავისუფლების საკითხი კონსტიტუციის ერთ-ერთი ერთი დიდი მიღწევა იყო. ამიტომ, მისი მოსაზრებით, ალბათ ისევ იურისტების საქმეა ამ ცნების ყველა ასპექტის განმარტება.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს ხომ არ გაუჩნდათ რაიმე დამატებითი კითხვები.

საბჭოს წევრმა, კახაბერ ფარცვანიამ განაცხადა, რომ რა თქმა უნდა აკადემიური თავისუფლება უნდა ჰქონდეს ლექტორს, მაგრამ აკადემიური თავისუფლება არ გულისხმობს, რომ საბჭოს წევრს ან ექსპერტს არ ჰქონდეს შინაარსობრივ ნაწილში ჩახედვის უფლება და რომ ჩაიხედავს და გასცემს შესაბამის რეკომენდაციას ან რჩევას, ეს არ ნიშნავს აკადემიური თავისუფლების შეზღუდვას.

პროგრამის ხელმძღვანელი დაეთანხმა საბჭოს წევრს, თუმცა დასძინა, რომ ამასთანავე ადეკვატური უნდა იყოს რეკომენდაცია.

ასოცირებულმა პროფესორმა, შავლეგ თოდუამ განაცხადა, რომ საუბარი იყო „სააღსრულებო სამართლის“ კურსთან დაკავშირებით. მასთანაც ასეთი სიტუაციაა, რომ მიყავს სამი საგანი, თუმცა სხვადასხვა დროს იხსნება არჩევისათვის და არ არის ერთდროულად მიმდინარე. აღნიშნულთან დაკავშირებთ დეკანმა აღნიშნა, სხვა შემთხვევაში ვერ შეძლებდა მათ წაკითხვას. სასწავლო კურსის სილაბუსთან დაკავშირებით მან განმარტა, რომ რამდენიმე ლექციასთან მიმართებით საუბარი იყო ლიტერატურაზე, კანონის მითითებაზე, სწავლების მეთოდებთან დაკავშირებით, რომლის შესახებაც ერთი კომპონენტი აქვთ ჩადებული, რომელსაც რატომღაც არ მიაქციეს ყურადღება. სააღსრულებლო წარმოების პირველი კურსი საქართველოში 2009 წელს სწორედ ირაკლი ბურდულის საჯარო ლექციის ჩატარების შემდეგ თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტში მან შესთავაზა სააღსრულებო სისტემის ხელმძღვანელებს, რომ გაეხსნათ სააღსრულებლო სამართლის კურსი. რაზეც იმდენად დიდი იყო სტუდენტების მოთხოვნა, რომ იგი ასწავლიდა იმ პირობებშიც კი, როცა ლიტერატურა არ არსებობდა. ახლა კი არსებობს ლიტერატურა, ამასთანავე ორი ძირითადი სახელმძღვანელოს შემუშავება Twining-ის პროექტის ფარგლებში დაწყებული აქვთ. ერთი არის შიდა სისტემის მიმოხილვაზე, მეორე კი - ევროპული სააღსრულებლო სამართლის მიმოხილვაზე. ამ ორივე სახელმძღვანელოს ასწავლიან, უბრალოდ, 3-4 ლექციასთან დაკავშირებით მითითებულია მხოლოდ კანონი. ზუსტად იმ თემებთან დაკავშირებით არ არის ლიტერატურა მითითებული, რომელთან დაკავშირებითაც 2015 წლის შემდეგ მოძველდა ლიტერატურა. ვინაიდან ლექტორი გახლავთ იმ ინსტიტუტების იდეის ავტორი, თვითონ აწვდიდა სტუდენტებს სახელმძღვანელოდ პრეზენტაციების სახით. სწავლების მეთოდთან დაკავშირებით განმარტა, რომ ერთ-ერთი მეთოდი არის პრეზენტაცია, თუმცა ეს არ არის ჩვეულებრივი პრეზენტაცია, ამ კომპონენტის შეფასებას აქვს მაღალი ქულა. ოპონირების რეჟიმში, ლექტორი არანაირ კითხვას არ სვამს, სტუდენტი იცავს თავის მოსაზრებას, ასევე, სხვა სტუდენტების კითხვებზე პასუხობს და საბოლოო ჯამში ასე ფასდება.

მოწვეულმა ლექტორმა ვახტანგ ჟვანიამ, განაცხადა, რომ შეეცდებოდა მაქსიმალურად მოკლედ შეეთავაზებინა რამდენიმე არგუმენტი საკითხის ირგვლივ, რომელიც პროგრამის ხელმძღვანელმა ნაწილობრივ მიმოიხილა. მიმდინარე ზეპირ მოსმენაზე დაისვა კითხვა, თუ რატომ ვერ შეძლო პროგრამის განმახორციელებმა პერსონალმა აკრედიტაციის საბჭოზე პროგრამის შესახებ დასაბუთების წარდგენა და რატომ იყვნენ მოუმზადებლები. ამის მიზეზი იყო ის, რომ დაწესებულების წარმომადგენლები გვიან ჩაერთნენ, მაშინ, როცა საბჭოს თავმჯდომარემ დაავალა საბჭოს წევრებს განემარტათ, თუ რა შენიშვნები ჰქონდათ პროგრამის კონკრეტულ სილაბუსებთან მიმართებაში. ზეპირი განხილვის დროს ძალიან მსუბუქად წარმოჩინდა ის შენიშვნები, რაც შემდეგ ოქმში სხვანაირად იქნა ჩამოყალიბებული. მისი მოსაზრებით, მის სილაბუსებთან მიმართებაში საქმე ეხებოდა აკადემიური თავისუფლების ხელყოფას, რადგან ორი თემატიკა იყო, რომელზეც საბჭოს წევრმა/წევრებმა გაამახვილეს ყურადღება. ეს უკავშირდებოდა თავდაცვასა და უსაფრთხოებას და ფინანსების და კონტროლთან დაკავშირებული საკითხებს. ზოგიერთმა ლექტორმა შესაძლებელია ცალკე ლექცია-სემინარები დაუთმოს, მაგრამ იქიდან გამომდინარე, რომ ორივე საკითხი კონკრეტული ინსტიტუტის უფლებამოსილებაა, ლექტორმა გადაწყვიტა გაყოლოდა იმ გზას, რომ ინსტიტუტებთან ერთად გადიოდნენ აღნიშნულ საკითხებს. როდესაც საუბარია ასეთ საკითხებზე, შესაძლებელია ყველას ჰქონდეს განსხვავებული მოსაზრება. მაგრამ ოქმში იმის ჩაწერა, რომ რადგან ეს საკითხები არ ისწავლება, ამიტომ კონკრეტული საგანი შედეგზე ვერ გადის, არ არის მართებული. აკრედიტაციის საბჭოს წევრებს შეეძლოთ დაესვათ კითხვა ზეპირ მოსმენაზე, ასწავლიდნენ/გადიოდნენ თუ არა საერთოდ ამ საკითხებს ლექცია-სემინარებზე. თუმცა ასეთი კითხვა არ დასმულა, არც კომენტარის სახით გაკეთებულა ასეთი შენიშვნა. აქედან გამომდინარე, ლექტორს საერთოდ არ ჩაუთვლია, რომ ქვეყანა თავზე ექცეოდა დაწესებულებას. სახელმძღვანელოებშიც ჩანს, რომ განსხვავებულ ავტორებს განსხვავებულად აქვთ ჩამოყალიბებული კონკრეტული საკითხები. როგორც აღნიშნა, ზოგიერთი ავტორი

კონკრეტულ ინსტიტუტს მიაწერს თავდაცვისა და უსაფრთხოების საკითხებს, ზოგიერთი კი ცალკე გამოყოფს.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ დამატებითი კითხვები. ასევე მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს, ხომ არ სურდათ რაიმეს დამატება. ინიცირება არ გამოთქმულა, აკრედიტაციის საბჭო გავიდა შესვენებაზე.

17:25 საათზე სხდომაზე გამოცხადდა შესვენება;  
სხდომა განახლდა 18:26 საათზე.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის „სამართალმცოდნეობის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოსთვის ხელახლა განსახილველად დაბრუნების შესახებ საკითხი.

### **კენჭისყრის შედეგები**

მომხრე - 2;

წინააღმდეგი - 4.

სხდომის თავმჯდომარემ განაცხადა, რომ სააპელაციო საბჭოს წევრების ხმათა უმრავლესობით გადაწყდა, რომ სააპელაციო საბჭომ გაიზიარა აკრედიტაციის საბჭოს 2021 წლის 31 იანვრის №50846 გადაწყვეტილება შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის „სამართალმცოდნეობის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის პირობითი აკრედიტაციის თაობაზე.

### **გადაწყვეტილება**

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 24<sup>1</sup> მუხლის მე-3 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებისა და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 28<sup>5</sup> მუხლის პირველი პუნქტისა და 28<sup>7</sup> მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, გაზიარებულ იქნას საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2021 წლის 31 იანვრის №50846 გადაწყვეტილება შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის „სამართალმცოდნეობის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის პირობითი აკრედიტაციის თაობაზე.

### **საბჭოს არგუმენტაცია:**

1. სააპელაციო საბჭომ ვერ მოისმინა დაწესებულების მხრიდან სათანადო არგუმენტაცია აკრედიტაციის საბჭოს მიერ აკრედიტაციის დებულებით დადგენილი პროცედურების დარღვევის თაობაზე, გარდა იმისა რომ დაწესებულების წარმომადგენლებს არ მიეცათ ზეპირი მოსმენის პროცესში აზრის გამოხატვის უფლება. აზრის გამოხატვის უფლების შეზღუდვა არ გამომდინარეობდა აკრედიტაციის საბჭოს მიერ მიზანმიმართულ ქმედებიდან. საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის ემეტესმა ნაწილმა თავად არ მიიღო მონაწილეობა აკრედიტაციის საბჭოს ზეპირი მოსმენის განხილვაში და დაწესებულებას უნდა მოეხდინა პერსონალის ჩართვა პროცესში საკითხის მნიშვნელობიდან გამომდინარე.

2. აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილების შესაბამისად, საგანმანათლებლო პროგრამა 2 წლიანი პირობითი აკრედიტაციის რეჟიმში აგრძელებს ფუნქციონირებას. გამომდინარე აქედან, სააპელაციო საბჭომ მიიღო თანაზომიერი გადაწყვეტილება, - ერთის მხრივ, პროგრამის განხორციელებაში ჩართული დაინტერესებული მხარეების ინტერესები არ ილახება

(სტუდენტები, საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი პერსონალი და სხვა.), რადგან პროგრამა აგრძელებს უწყვეტ ფუნქციონირებას, ამასთან, დაწესებულებას ეძლევა შესაძლებლობა, რომ პირობითი აკრედიტაციის პერიოდში განახორციელოს საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასება, მოახდინოს აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების განხილვა/ანალიზი და იმსჯელოს, თუ რომელი რეკომენდაცია იქნება სასარგებლო პროგრამის განვითარებისათვის და მიმდებლობის შემთხვევაში, მოახდინოს მათი გაზიარება;

3. არ არის სწორი დაწესებულების მხრიდან მოულოდნელობის ეფექტზე აპელირება, რადგან დაწესებულებას ყოველთვის უნდა ჰქონდეს მოლოდინი, რომ საბჭო დაინტერესდება და დაუსვამს ნებისმიერ კითხვას განსახილველი საკითხის ირგვლივ. გასათვალისწინებელია, რომ აკრედიტაციის საბჭოს შეუძლია აკრედიტაციის ექსპერტის მოსაზრების, როგორც გაზიარება, ისე არ გაზიარება და საკუთარი შეფასების ფორმირება.

4. დაწესებულება აკრედიტაციის საბჭოს მიმდინარეობისას მაქსიმალურად წარმომადგენლობით უნდა იყოს ჩართული (პროგრამის პერსონალი). თუკი დაწესებულების მხრიდან აკრედიტაციის საბჭოზე წარმომადგენლობა მინიმალურია და არ დაგეგმეს ფართო ჩართულობა, ამ შემთხვევაში, მოულოდნელობის ეფექტი ვერ წარმოადგენდა არგუმენტს.

დღის წესრიგით განსაზღვრული საკითხის განხილვის შემდეგ საბჭოს სხდომა დახურულად გამოცხადდა 2021 წლის 27 მაისის 18:29 საათზე.

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული  
ცენტრი / სააპელაციო საბჭო  
საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე  
სხირტლაძე ნუგზარ



სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული  
ცენტრი  
სააპელაციო საბჭო  
მდივანი  
საბახტარიშვილი ანა

